სანოტარო აქტი

საქართველო თბილისი

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდახუთ აგვისტოს მე, ნოტარიუსს თინათინ დევდარიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. #43/ლ.კავსაძის #9, ბინა #13-ში მომმართა *ლალი ჩხეიძემ (პირადი #* 01008001240) და განაცხადა, რომ არის შ.პ.ს. „ ალექსანდრე"-ს *(განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:* მომზადების თარიღი B21045148, 29/04/2021 18:21:06 *საიდენტიფიკაციო* 206135877 *რეგისტრაციის თარიღი* 7/4-2426; 25/08/2003*) დირექტორი და გამოხატა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება.* მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *ლალი ჩხეიძემ* მომმართა. ასევე მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. „ ალექსანდრე". მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდახუთ აგვისტოს *ლალი ჩხეიძემ* როგორც შ.პ.ს. „ ალექსანდრე"-ს (ს.კ.206135877) *დირექტორმა, შემდგომში წოდებული „მიმნდობი"* წინამდებარე მინდობილობით *მამუკა გოგოჭურს (პირადი №* 01032003513*)* შემდგომში წოდებული „მინდობილი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს „მიმნდობი"-ს როგორც შ.პ.ს. „ ალექსანდრე"-ს *დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა დაწესებულება-ორგანიზაციაში,ადმინისტრაციულ ორგანოებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, თვითმმართველობის ორგანოებში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში. , სააგენტოებშა და სსიპ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, მერიის იურიდიულ სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურებში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სააგენტოში, სსიპ იუსტიციის სახლში, სსიპ იუსტიციის სახლის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, არქივებში, საამზომველო კომპანიებში, ნებისმიერ ბანკში და სხვა. უზრუნველყოს „მიმნდობი"-ს კუთვნილი უძრავ ქონების მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი ქუჩა ქინძმარაული #7 ს.კ.* 01.19.33.001.233 პარამეტრების მშენებლობის კლასის დადგენა/განსაზღვრა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, შეთანხმებული პროეტის ცვლილება /კორექტირება, მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით საჭირო ყველა მოქმედების განხორციელება, „მიმნდობი"-ს სახელით ყველა შესაბამის ორგანოში საჭირო დოკუმენტების, განაცხადის შეტანა, გამოთხოვა, ინფორმაციის მიღებ, ელექტრონული ხელმოწერიოს განხორციელება შესაბამის განაცხადზე, მომზადებული დოკუმენტაციის ატვირთვამერიის ელექტრონულ საიტზე შეუზღუდავად აწარმოოს „მიმნდობი"-ს სახელით საქმეები, შეაგროვოს წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ამონაწერები, ნახაზი, პროექტი, ნებართვა, ტექნიკური პირობები და სხვა. გადაიხადოს მოსაკრებელი, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ხელი „მიმნდობი"-ს სახელით საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმეტებს. ასევე შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა დადგენილი დავალების შესასრულებლად და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ეს მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2022 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თინათინ დევდარიანის სანოტარო არქივში ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობ"-ს

დანართი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი *(განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:* მომზადების თარიღი B21045148, 29/04/2021 18:21:06 *საიდენტიფიკაციო* 206135877 *რეგისტრაციის თარიღი* 7/4-2426; 25/08/2003*)*

გადახდილია სახელმწიფო *10,00 (ათი)* ლარი, 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების განსაზღვრის შესახებ" 31-ე მუხლით და 2 ლარი „სანოტარო რეგისტრაციის საფასური' *(*ზემოთმითითებული კანონის 39-ე მუხლის მიხედვით, სულ 12,00 (თორმეტი) ლარი

ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი

01008013506

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

77135292232921

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

წმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210909879



რეგისტრაციის თარიღი

25.08.2021 წ

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქუჩა N43/ლ.კავსაძის 9, ბინა 13
ტელეფონი: 229-35-11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18